

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N 2

2021 წლის 17 სექტემბერი

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების მე-40 მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილებისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების შესაბამისად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში - ცესკო) ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცედურები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

წინამდებარე განკარგულება შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

დანართი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. ფოტოვიდეოგადაღების წესი

1. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, აგრეთვე საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირს საარჩევნო პროცესისათვის/საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისათვის ხელის შეშლის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიის) ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.
2. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის ოთახის გარეთ.
3. საარჩევნო კომისიის წევრებმა ინტერვიუ უნდა მისცენ კენჭისყრის პროცესში მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.
4. კენჭისყრის დღეს დილის 8 საათიდან საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლამდე და საარჩევნო უბანზე ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდგომი პერიოდიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პერიოდის ჩათვლით, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი.
5. კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლიდან ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პერიოდში ერთსა და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება აქვს, საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის

განმავლობაში ერთხელ, არაუმეტეს 10 წუთისა ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს ნებისმიერი ადგილიდან, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფით. ხოლო კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს (მათ შორის, მედიის წარმომადგენლებს, რომლებსაც სურთ ფოტოვიდეოგადაღება აწარმოონ 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში) შეუძლიათ კენჭისყრის დღეს მთელი დღის განმავლობაში აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსებული სტაციონალური ფოტოვიდეოგადაღების აპარატის მეშვეობით. ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.

6. ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ.

მუხლი 2. კენჭისყრის ოთახის მოწყობა

1. კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით კენჭისყრის ცესკო საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ ყველა საჭირო საარჩევნო დოკუმენტაციას და ინვენტარს, კერძოდ:

- 1.1. საარჩევნო დოკუმენტაციას:
 - 1.1.1. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას (კედლის სია; სამაგიდო სია - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 1 საათისა);
 - 1.1.2. საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს;
 - 1.1.3. სპეციალურ კონვერტებს;
 - 1.1.4. საკონტროლო ფურცლებს;
 - 1.1.5. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და „შესწორების ოქმის“ ფორმებს;
 - 1.1.6. კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებს.
- 1.2. საარჩევნო ინვენტარს:
 - 1.2.1. გამჭვირვალე საარჩევნო ყუთს;
 - 1.2.2. საარჩევნო ყუთის ლუქებს;
 - 1.2.3. კენჭისყრის კაბინებს
 - 1.2.4. საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედს;
 - 1.2.5. რეგისტრატორების სპეციალურ ბეჭედებს;
 - 1.2.6. ასლგადამღებ მანქანას;
 - 1.2.7. სამელნე ბალიშებს.
- 1.3. სხვა საარჩევნო მასალას:
 - 1.3.1. კანდიდატთა სიას;
 - 1.3.2. საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
 - 1.3.3. ინფორმაციას თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
 - 1.3.4. განცხადება/საჩივრის წარდგენის წესი
- 1.3.3. საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს და სხვა.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა მოაწყონ კენჭისყრის ოთახი. საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:

- 2.1. ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდეები;
- 2.2. საარჩევნო უბანზე ამომრჩეველისთვის არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა;
- 2.3. მაგიდა სპეციალური კონვერტებისთვის (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- 2.4. აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთი.

მუხლი 3. კენჭისყრის დღეს საინტარულო-ჰიგიენური ნორმების დაცვა

1. კენჭისყრის ოთახში შესვლის/გამოსვლის და უბანზე ყოფნის/გადაადგილებისას საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დაცული უნდა იქნეს შემდეგი საინტარულო-ჰიგიენური მოთხოვნები:
 - 1.1. კენჭისყრის ოთახის შესასვლელთან უნდა განთავსდეს დეზობარიერი (კოლექტიური დაცვის საშუალება);
 - 1.2. კენჭისყრის ოთახის შესასვლელთან უნდა განთავსდეს ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი;
 - 1.3. საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
 - 1.4. კენჭისყრის შენობაში არ უნდა იქნეს დაშვებული კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირი, პირბადისა და სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების გარეშე;
 - 1.5. კენჭისყრის ოთახში არ უნდა იქნეს დაშვებული კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირი ტემპერატურის შემოწმების გარეშე, გარდა ამომრჩევლისა;
 - 1.6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს კენჭისყრის ოთახში ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის სახელორები, სამუშაო მაგიდების და ა.შ.) სათანადო წესით, წმენდა/დეზინფექცია ყოველ 3 საათში ერთხელ და დაბინძურების შესაბამისად;
 - 1.7. კენჭისყრის ოთახში უნდა განთავსდეს კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერი, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით, ხოლო ასეთი ნარჩენების დროული გატანა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამლაგებლის მიერ;
 - 1.8. კენჭისყრის შენობაში უნდა განთავსდეს ამომრჩეველთა მიერ გამოყენებული საწერი კალმისტრებისთვის კონტეინერი, რომელშიც ამომრჩეველმა ხმის მიცემის შემდეგ უნდა მოათავსოს მის მიერ გამოყენებული კალმისტარი;
 - 1.9. ფარული კენჭისყრის კაბინები უნდა მოეწყოს შემდეგნაირად: კენჭისყრის კაბინა, ამომრჩევლისთვის შესასვლელი, ერთი მხრიდან გახსნილი დარჩეს და გახსნილი მხარე მიმართული იყოს კენჭისყრის ოთახის კედლისკენ იმდაგვარად, რომ არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი;
 - 1.10. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირბადით, დამცავი ფარითა და ერთჯერადი ხელთათმანებით;
 - 1.11. ამომრჩეველი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი კალმისტარით. ამომრჩეველთა რეგისტრატორმა კომისიის წევრმა საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველს უნდა მიუთითოს, რომ საარჩევნო ბიულეტენის მიღება ამომრჩეველთა ერთიან სიაში ხელმოწერით დააფიქსიროს რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული კალმისტარით და ამავე კალმისტარით ისარგებლოს ფარული კენჭისყრის

კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას. ამომრჩეველმა ხმის მიცემის შემდეგ კალმისტარი უნდა განათავსოს კალმისტარებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში;

1.12. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა უნდა მოახდინოს:

1.12.1.ამომრჩეველთა შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვის უზრუნველყოფა (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში);

1.12.2.თვალყური ადევნოს, რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან;

1.12.3.არ დაუშვას სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩევლის ყოფნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დროებით შეაჩეროს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლა;

1.12.4.სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების შემდეგ, როდესაც ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს, გასასვლელში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადეზინფექციო სითხით ხელების დამუშავების შესაძლებლობა;

1.13. მთვლელები მაგიდებთან უნდა განთავსდნენ ისე, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ;

1.14. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენმა პირებმა მაგიდისგან (მთვლელებისგან) 2 მეტრის დაშორებით ისე უნდა დაიკავონ ადგილი, რომ შეძლონ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის და დახარისხების პროცესზე დაკვირვება;

1.15. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უნდა მოხდეს კენჭისყრის შენობების ბუნებრივი ვენტილაცია;

1.16. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახები უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამლაგებლებით, რომლებიც უნდა იქნენ აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

1.16.1.ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი;

1.16.2.სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი);

1.16.3.სახის დამცავი ფარი;

1.16.4.საარჩევნო უბნის გახსნამდე და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესის დასრულების შემდგომ უნდა მოხდეს კენჭისყრის შენობის დალაგება და დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით.